# ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის VII მოწვევის საკრებულოს წევრის ნინო რუხაძის ანგარიში

(საანგარიშგებო პერიოდი: **2021** წლის **1** ნოემბერი - **2022** წლის **1** ნოემბერი)

საანგარიშგებო პერიოდში ჩემი, როგორც ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, საქმიანობა წარიმართა შემდეგი ძირითადი მიმართულებებით:

1. **საერთაშორისო პლათფორმებში ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის (ათეა) წარმოდგენა**. 2019 წლიდან ვარ ევროპის მუნიციპალიტეტებისა და რეგიონების საბჭოს (CEMR) წევრი და ვიცე-პრეზიდენტი. ამავდროულად, ადგილობრივ ხელისუფლებათა მსოფლიო კონგრესში (UCLG) ვარ ათეა-ს დელეგატი.

   ზემოაღნიშნულ საერთაშორისო ორგანიზაციებში ჩემი საქმიანობის მიზანია საქართველოს მუნიციპალიტეტების, როგორც ევროპული მუნიციპალიტეტების ოჯახის განუყოფელი ნაწილის, პოზიციონირება და საერთაშორისო, განსაკუთრებით ევროპელ კოლეგებთან თანამშრომლობის განვითარების ხელშეწყობა.

   საანგარიშგებო პერიოდში მონაწილეობა მაქვს მიღებული:

   - ✓ ადგილობრივ და რეგიონალურ ხელისუფლებათა განვითარების ევროპული პლატფორმის (PLATFORMA) ევროპის რეგიონთა და თვითმმართველობათა კომიტეტის აღმოსავლეთ პარტნიორობის კონფერენციის (CORLEAP) მე-10 ყოველწლიურ ონლაინ შეხვედრაში სპიკერის სტატუსით. შეხვედრაზე მომეცა შესაძლებლობა მესაუბრა იმ წვლილზე, რომლის შეტანაც შეუძლიათ ადგილობრივ და რეგიონალურ სახელისუფლებო ორგანოებს აღმოსავლეთ პარტნიორობის განახლებული პოლიტიკის დღის წესრიგის ძირითადი მიზნებისა და ამოცანების განხორციელებაში;

   - ✓ CEMR -ის პოლიტიკური კომიტეტის ონლაინ სხდომებში;

   - ✓ PLATFORMA-ს შეხვედრაში, რომლის ფარგლებში ვისაუბრე, თუ რა წვლილი შეუძლიათ შეიტანონ მუნიციპალიტეტებმა აღმოსავლეთ პარტნიორობის სახელმწიფოების ევროინტეგრაციის პროცესში;

   - ✓ UCLG-ის მე-7 მსოფლიო კონგრესის სხდომაში. საქართველომ პირველად მიიღო კონგრესის სხდომაში მონაწილეობა, როგორც UCLG-ის ევროპის სექციის წევრმა სახელმწიფომ. აღსანიშნავია, რომ კონგრესზე მონიჭებული მქონდა მანდატი წარმომედგინა არა მხოლოდ საქართველო, არამედ უკრაინა და მიმეღო მონაწილეობა ამ უკანასკნელის სახელით გადაწყვეტილებების მიღების პროცესში..

     კონგრესის ფარგლებში გამოვედი სიტყვით და მოვუწოდე კონგრესის მსოფლიო საბჭოს სხდომის მონაწილეებს მხარი დაეჭირათ UCLG-ის ევროპის სექციის მიერ შემუშავებული უკრაინის მხარდამჭერი რეზოლუციის პროექტისთვის. აგრეთვე კონგრესის UCLG-ის ევროპის სექციის ფარგლებში გავაჟღერე პრობლემა, რომელიც უკავშირდება

საქართველოს, უკრაინისა და მოლდოვის ოკუპირებული ტერიტორიების UCLG-ის რუკებზე არასწორად მონიშვნის პრობლემას და დავიწყეთ მოლაპარაკების წარმოება აღნიშნული პრობლემის აღმოსაფხვრელად.

2. **ეთნიკური უმცირესობების საკოორდინაციო საბჭოს საქმიანობაში ჩართულობა.** ეთნიკური უმცირესობების საკოორდინაციო საბჭო თბილისის საკრებულოში 2015 წელს შეიქმნა. საბჭოს მიზანია უზრუნველყოს თბილისში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების ჩართულობა მუნიციპალიტეტის საქმიანობაში, აგრეთვე ხელი შეუწყოს ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციასა და მათ შესახებ ცნობიერების ამაღლებას.

   საბჭოს ეგიდით, რომლის საქმიანობაშიც ვარ აქტიურად ჩართული, პერიოდულად ვაწყობთ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისა და თბილისის საკრებულის კომისიების, თბილისის მერიის სამსახურებისა და გამგეობების პირველ პირებთან შეხვედრებს. აღნიშნული შეხვედრების ფარგლებში ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს მიეწოდებათ ინფორმაცია თბილისში განხორციელებულ, მიმდინარე და დაგეგმილ პროექტებთან და პროგრამებთან დაკავშირებით. აგრეთვე ეთნიკურ უმცირესობებს ეძლევათ შესაძლებლობა თბილისის საკრებულოსა და მთავრობის წარმომადგენლებს დაუსვან კითხვები, წამოჭრან მათთვის აქტუალური საკითხები და მიაწოდონ ინფორმაცია მათ წინაშე არსებულ გამოწვევებსა და პრობლემებზე.

   ეთნიკური უმცირესობების საბჭოს ორგანიზებითა და მხარდაჭერით პერიოდულად ტარდება კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებები. კერძოდ, სააგარიშგებო პერიოდში საბჭოს ჩართულობით თბილისის საკრებულოში ჩატარდა სერგო ფარაჯანოვის ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო; ასურული ენის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება და აჰმედ ჯავადის 130 წლის იუბილესთან დაკავშირებული საღამო.

3. **უკრაინელი დევნილების მხარდაჭერის საკოორდინაციო საბჭოს საქმიანობაში ჩართულობა** - თბილისში უკრაინელი დევნილების მასობრივი შემოდინების გათვალისწინებით, მათ საჭიროებებზე სწრაფი რეაგირებისა და პრობლემების დროული მოგვარების მიზნით თბილისის საკრებულოსთან შეიქმნა უკრაინელი დევნილების მხარდაჭერის საკოორდინაციო საბჭო. საბჭოს შემადგელობაში შედიოდნენ თბილისის საკრებულოს წევრები და მოხალისეები, რომლებიც ადგილზე მუშაოდნენ უკრაინელი ლტოლვილების დასახმარებლად.

   აქტიურად ვიყავი ჩართული საკოორდინაციო საბჭოს საქმიანობაში. საბჭოს ფარგლებში პერიოდულად ვხდებოდით საბჭოს წევრებს, ვიღებდით და შემდეგ მუნიციპალიტეტის შესაბამის ორგანოებს ვატყობინებდით ინფორმაციას უკრაინელი ლტოლვილების საჭიროებების შესახებ, რათა მუნიციპალიტეტს დროულად, საკუთარი კომპეტენციისა და შესაძლებლობების ფარგლებში მოეხდინა რეაგირება

აღნიშნულ საჭიროებებზე; აგრეთვე ხელს ვუწყობდით უკრაინელების მხარდაჭერი ღონისძიებების ჩატარებას, მათ შორის, თბილისის საკრებულოში გაიმართა საქველმოქმედო აქცია, რომლის ფარგლებშიც მოეწყო უკრაინელი ბავშვების ნახატების გამოფენა და უკრაინელი ლტოლვილების მიერ დამზადებული ნივთების ექსპოზიცია/გაყიდვა. ღონისძიების შედეგად შემოსული თანხები მოხმარდა უკრაინელი ლტოლვილების საჭიროებებს.

**ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოში მონაწილეობა** - საანგარიშგებო პერიოდში მონაწილეობა მივიღე ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის გენდერული სტრატეგიის 2022-2026 წლების სამოქმედო გეგმის შემუშავებაში, აგრეთვე სხვადასხვა სახის აქტივობებში, რომელთა მიზანია გენდერულად ორიენტირებული მუნიციპალური პროგრამებისა და სერვისების შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლება.

გარდა ამისა, საანგარიშგებო პერიოდში: დავესწარი იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის 15 (თხუთმეტი) სხდომას და მონაწილეობა მივიღე 476 (ოთხას სამოცდათექსმეტი) საკითხის განხილვაში; აგრეთვე მონაწილეობა მივიღე ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების კომისიის 13 სხდომაში, რომელთა ფარგლებში განხილულ იქნა დღის წესრიგით გათვალისწინებული 25 საკითხი; დაბოლოს, დავესწარი ფრაქციის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ 21 სხდომას და მონაწილეობა მივიღე 39 საკითხის განხილვაში.